მნიშვნელობა არ აქვს, "ბარსელონა" სუპერკლასიკოს როგორ შედგენთ დაასარულებს. ნინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ რაიკაარდისთვის ეს ბოლო სუპერკლასიკა იქნება. მოუედავად იმისა, რომ კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობა ბოლო წუთამდე მისი ნასვლის ამბავს არ ახმაურებდა, ჩვენთვის ცნობილია, რომ რაიკაარდის ბედი გადაწყვეტილია. **ბერნდ შუსტერი** ლონდონერი და გულმოწყალე ადამიანი არასოდეს ყოფილა, რა თქმა უნდა, მის პროფესიულ ცხოვრებას ვგულისხმობ. გერმანელი ალა იმაზე ოცნებობს, ნაქცეცულ რაიკაარდს ნინლი მიაყოლოს და სასორპკეეფილლობაში ჩააგდოს. ბერნდი, რა თქმა უნდა, საფისტა არ არის, უბრალოდ, ის საკუთარ თავზე ფიქრობს. შუსტერს ალბათ, კარგად ესმის, რაიკაარდის "ბარსელონას" მიმდინარე სეზონში უამრავი შეცდომა რომ არ დაუშვა, "რეალს" სიბეულსმდე მისვლა ძალიან გაუჭირდებოდა. ლამაზი თამაშის იმედით დანიშნულმა სპეციალისტმა "რეალი" ლამაზად მხოლოდ სეზონის დასასრულსი ათამაშა. შემდეგ კი, ფეხბურთელები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები ჩვეულებრივი რუტინის მონანილეები გავხდით. სამეფო კლუბი, ძირითად შემთხვევაში, სტაბილურად, მაგრამ ულიმლამოდ თამამობდა. რა თქმა უნდა, გამონაკლის მატჩებს არ გვულისხმობ. მაგრადელებმა რამდენიმე დასამახსოვრებელი შეხვედრა ჩაატარეს, მაგრამ ასეთი თამამები **ფაბიო კაპელოსაც** ხომ ჰქონდა?! ჩემპიონობის მოუხდავად, შუსტერს სეზონის დასრულების შემდეგ, მონინაალმდეგეს მრავალ რთულ კითხვაზე მოუნევს პასუხის გაცემა. მას აუცილებლად ჰკითხავენ, როგორ ფიქრობთ, გაამართლეთ თუ არა **რამინ კალდერონის** იმედი. პრეზიდენტმა ის სანახაობრივი ფეხბურთის მოტივით მოიყვანა. ჯერ ბერნდი განვლილ მატჩებს თვალს თუ გადადავეფლებს, თავის მოსაწონებლად რამდენიმე ორთაბრძოლას თუ გაიხსენებს. აი, სეზონის მინურულს "ბარსელონის" დამცირება მის პოზიციას ერთი-ორად გაამყარებს. რა თქმა უნდა, გერმანელის გამვეანზე არაერნ საუბრობს, უბრალოდ, ამ კაცს სალაპარაკო აშკარად მეტი ენენა. მოკლედ, სიბეულსურ ფიესტას გამტკიცება სჭირდება. "რეალს" ჯერაც არ დაუმტკიცებია, რომ მიმდინარე სეზონში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა.

სუპერკლასიკოს პატარა ბარსკვლავი

სამუელ ეტოოს დისკვალიფიკაციამ 17 ნლის ბოიან კრკიჩს ზღაპრული თამაშის ჩატარების შესაძლებლობა მისცა. თუ რაიკაარდი არაადამიანურად არ მოიქცევა, ამ პატარა ბიჭს მოედანზე შესვლის შესაძლებლობა აუცილებლად მიეცემა. როგორია, თინეიჯერი ფორვარდისთვის "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაში? ამ სეზონის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, მინა აღარაება მოგვინეცეს, რომ ბოიანი სუპერკლასიკოში თამაშს, ნამდვილად ინსახურებს. სადებიუტო სეზონში მან 10 გოლის გაგანა მოახერხა, თუმცა გამოოიგზეული არ არის, პირადი მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუუმჯობესოს... მაგრამ კრკიჩმა დარწმენილ სამ ტურში ერთი ბურთიც რომ შეაგდოს, ის მანიც ისტორიაში შეავა. საქმე ის არის, რომ "ბარსას" თინეიჯერმა ფორვარდმა პრიმერა დივიზიონში გაგანილი 10 ბურთით **რაულ გონსალესის** მიღწევა დაჩრდილა. "რეალის" კაპიტანმა ესპანეთის ჩემპიონატში ჩატარებულ სადებიუტო სეზონში მან 9 ბურთის შეგდება მოახერხა.

ბოიანის კარიერა მართლაც თავბრუდამხვევი წარმატებით დაინყო. პირველი ორთაბრძოლა "ბარსას" ძირითადში ბმ ეგვიპტური "ალ ალის" ნინააღმდეგ ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ პირველივე მატჩში გოლის გაგანა შეელო. 2007 ნლის 20 ოქტომბერს კი, კრკიჩმა "ვილიარეალის" კარი დალაქერა და პრიმერა დივიზიონში პირველი ბურთიც მიითვალა. იმ დღეს ბოიანი 17 ნლისა და 53 დღის იყო. უნდა აღინიშნოს, რომ "ბარსას" ისტორიაში ასეთ ახალგაზრდულ ასაკში პრიმერა დივიზიონის მატჩში გოლი არავის გაუტანია. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ პატარა ვარსკვლავმა თითო-თითო ბურთი ესპანეთის სამეფო თასსა და ჩემპიონთა ლიგაშიც გაიტანა. ყველა ტურნირის ჯამში მას 12 გოლი დაეგროვდა. და ეს ყველაფერი მან 17 ნლისამ მოახერხა. გასაკვირი არ იქნება, თუ ბოიანი სუპერკლასიკოში თამაშმეტდავად ითამაშებს და ისტორიაში ამითაც შეაბიჯებს.

ბრძოლა გადაღრჩენისთვის

მაშინ, როცა ესპანეთის ჩემპიონის ვინაობა გარკვეულია, გადამამშების ცხრილის ფსკერზე გადარჩენისთვის უმეღვაეთო ბრძოლა მიმდინარეობს. როგორც სტატიის დასაწყისში მოგახსენეთ, "ვალენსიისა" და "სარაგოსის" სამარცხენი ასპარეზობა მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო. ახლა წარსულში დაშვებული შეცდომების გაანალიზების დრო არ არის. გამარჯვება ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდება და მაუილ ძალისმმეგ აქეთკენ უნდა მიმართონ. "ღამურების" კატალაროდფულმა გამოსცალამ ქალაქის მერიც კი შეაშფოთა. მუნიციპალიტეტის მორიგი სხდომა ვალენსიის მმართველმა ფეხბურთის თემით გახსნა და "სარაგოსასთან" მოახლოებულ მატჩს გამოეხმაურა. დეპუტატებმა ბეერი ისაუბრეს. ბოლოს მერმა დამსწრე საზოგადოებას ინიციატივით მმართა, თუ ჩვენი ფეხბურთელები არაგონელებს დაამარცხებენ, სარეზერვო ფონდიდან პრემიალური თანხა გადაუხადეთო. ინიციატივა ერთხმად აიტაცეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ვალენსიის" ფეხბურთელებისაკენ ეს დამატებითი მოტივაცია იქნება. თუმცა, რა თქმა უნდა, ფული მთავარი არ არის. მასპინძელთა დამრიგებელი **ვორო ბოლესლი** პაექრობას იმედის თვალით უყურებს. მას "ეამს ნოუზ" განცდილი ერახეკ არ აშინებს და დარწმუნებულია, რომ ბიჭები მოიგებენ. "ვალენსიის" სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება: კანინარესი, ჰილდებრანდი, ელგარა, მიგელი, ალბიოლი, ალექსისი, მარჩენა, ალბალდა, ბარასა, ედუუ, ხოაკინი, მატა, ვისენტეტ, არისმენდი, სილვა, ვიელა, ვიგირი, ანგულო, ბაგეკა.

აქვე "სარაგოსის" შემადგენლობასაც გაგაცნობთ: სესარო, ლოპეს ბალიეზო, დიიოო, პარდეზი, ოსკარი, ალალა, ლუქსენი, ალმარი, სერხიო გარსია, ხუან ფონანი, ოლეეეერა, ვალი, ჰაკონი, მაიუსალეზი, დიეგო მილიტო, პეერო, ვალერო.

პრიმერა დივიზიონიან გაკაფნილს ყველაზე დიდი საფრთხე "ოსასუნას" ემუქრება. პამპლონელებს ბალმა დე მალორკასზე ურთიუღეს დაპირისპირება ელით. ამ შეხვედრის ნინ **ჯუან სიგანდას ვალტერ პანდიანი** და **კიკე სოლა** გამოაკლდნენ. გადაუკარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნავარელთათვის ეს უდიდესი დანაკლისია.

ილია ნიკოლაიშვილი

	მ	ა	ფ	ნ	ბ	ქ
1. რეალი	35	25	3	7	73-31	78
2. ვილიარეალი	35	21	5	9	57-40	68
3. ბარსელონა	35	18	10	7	68-33	64
4. ატლეტიკო	35	17	7	11	62-44	58
5. რასინგი	35	16	8	11	41-38	56
6. სევილია	35	17	4	14	66-48	55
7. მალიორკა	35	12	14	9	61-49	50
8. დეპორტივო	35	14	7	14	45-44	49
9. ალბაილა	35	13	10	12	37-38	49
10. ოსასუნიელი	35	13	9	13	42-46	48
11. ბილბაო	35	12	10	13	37-38	46
12. ვალენსია	35	12	9	14	43-47	45
13. სარაგოსა	35	11	9	15	39-45	42
14. ესპანიოლიელი	35	11	9	15	40-55	42
15. ალბალდა	35	12	6	17	39-60	42
16. სარაგოსა	35	10	11	14	46-55	41
17. ოსასუნა	35	11	7	17	34-40	40
18. რასინგი	35	10	10	15	37-57	40
19. მურსია	35	7	9	19	31-56	30
20. ლევანტე	35	7	5	23	30-64	26

ბარსელონა

რაიკაარდს გვარდიოლა შეცვლის?

ჰეგს მოწინააღმდეგეები უმალ გამოუჩნდნენ: გამოუცდელიაო

"ფიარიო ასმ" სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა. მადრიდული გაზეთის მტკიცებით, გუნმ "ბარსელონის" ოფისში დირექტორატისა და მსხვილ აქციონერთა გაფართოებული სხდომა გაიმართა. კატალონიური გრანდის მესვეურებმა მიმდინარე სეზონში ნაჩვენები შედეგები გააანალიზეს. ბუნებრივია, დასკვნა უკიდურესად უარყოფითი იყო. სხდომის ნეგრებმა **ფრანკ რაიკაარდს** განაჩენი გამოუტანეს. "დიარიო ასს" თუ დაეუჯერებთ, ამ შეხვედრაზე ჰოლანდიელ სპეციალისტთან კონტრაქტის გაწყვეტის საკითხი გადაწყდა. მოქმედი ხელშეკრულება 2009 წლის 30 ივნისს იწურება, თუმცა კატალონიელები რაიკაარდს მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე გამოუშვიდიდობენან. თანამშრომლობის ვადამდე გაწყვეტის გამო მას საკომპენსაციო თანხას გადაუხდიან. სავარაუდოდ, აღნიშნული თანხა ნლეარო ხელფასის ოდენობის იქნება.

ბუნებრივია, რაიკაარდის გადაყენებაზე მნიშვნელოვანი, მისი მემკვიდრის დანიშვნაა. ისევ და ისევ, "დიარიო ასს" თუ დაეუჯერებთ, **ჯონან ლაპორტამ** და **ჩიკი ბეგირისტაინმა** ამ თანამდებობისთვის "ბარსელონის" ლეგენდარული ნახევარმცველი **ჰენ ბეგარდიოლა** შეარჩიეს. მადრიდული გამოცემის მტკიცებით, "ბარსას" სათადარიგო გუნდის მწვრთნელი რაიკაარდის ოსტატს მისი გადაყენებისთანავე დაიკავებს.



ამ ინფორმაციის გავრცელებას კატალონიურ საფეხბურთო წრეებში არაერთმნიშვნელოვანი გამოხმაურება მოჰყვა. ნაციონალისტურად განწყობილ გულშემატკივრებს, გვარდიოლას კანდიდატურა ძალიან გაუხარდათ, მაგრამ სკეპტიკოსთა დიდ არმიას, სავსებით ლოგიკური კითხვა უჩნდება. საქმე ის არის, რომ პეპმა პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზია 2006 წელს მოიპოვა. მას არათუ მსოფლიო ფეხბურთის გრანდში მუშაობის, არამედ საშუალო ევროპული დონის კლუბის დამოძღვრის გამოცდილებაც არ გააჩნია. ამიტომ, გულშემატკივრებსა და "ბარსელონის" ერთგულ ჟურნალისტებს ეშინიათ, რომ გვარდიოლა პრიმერა დივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგის ნიუანსებს დიდხანს ვერ აუფლებს ალლოს. ამ ხალხის აზრით, თუ გვარდიოლა მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნება, "ბარსელონა" ნარუმატებლობისთვის იქნება განნირული.

"დიარიო ასი" სენსაციურ სტატიას ბატონი გვარდიოლას გეგმებზე საუბრით ასრულებს. ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ "ბარსას" ლეგენდარული ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებების განხორციელებას აპირებს. ბეგირისტაინისთვის მას გუნდიდან გასაშვებად განნირული მოთამაშეების სია წარუდგენია. გვარდიოლას დანიშვნის ძალიან ცოტა მომხრე ჰყავს. კატალონიური საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ მთავარი მწვრთნელის თანამდებობას **ჯოზე მოურინიოს** ჩაუბარებდნენ. ალტერნატიულ კანდიდატად კი **მიქაელ ლაუდრუპი** და **ანუელ პელეგრინი** განიხილებოდნენ. ბუნებრივია, "დიარიო ასის" ინფორმაცია მტკიცებულება არ არის, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ გაზეთის მიერ გაკეთებული პროგნოზი თითქმის ყოველთვის მართლდება.

მოსალოდნელი დანიშვნა

იოლი ჰამბურგში?

რეგბრეგ ჩანს, "ჰამბურგის" ხელმძღვანელები ახალი მწვრთნელის ძებნას ექვსთვიანი ნეალების შემდეგ, მალე დასარულებენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, HSV-ს ბოსებმა ჰოლანდიელ სპეციალისტ **მარტინ იოლთან** სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიეს და სწორედ ეს უკანასკნელი შეცვლის **ჰუუბ სტევენსს**, რომელიც სეზონის დასრულების შემდეგ "ენიდჰოვენის" თავკაცი გახდება. ინფორმაცია ოფიციალურად ჯერ არ დასტურდება, მაგრამ გერმანული პრესა წერს, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

ფაქტი ის არის, რომ 52 წლის სპეციალისტი, რომელიც თავის გადაწყვეტილებას პარასკევს გაანმაურებს, დღესდღეისობით უმუშეგარია. იოლი ბოლოს "ტოტენჰემში" მუშაობდა, საიდანაც 2007 წლის ოქტომბერში გაათავისუფლეს. "ჰამბურგის" შეფეხბისთვის ჰოლანდიელის ერთ-ერთი უმთავრესი პლუსი გერმანული ენის ცოდნაა. აქვე უნდა ითქვას, რომ იოლს "ტენტეტენის" ეპატიჟებიან. როგორც იცით, ამ გუნდის ამჟამინდელი თავკაცი **ფრედ რუტენი** ზაფხულიდან გელზენკირხენის "შალკეს" ჩაუდგება სათავეში.

მილიტო ექვსი თვე ვერ ითამაშებს

გეგირისტაინმა მარკესს დარჩენა სთხოვა

"ბარსელონის" სამედიცინო შტაბმა გულშემატკივრები შოკისმომგვრელი ინფორმაციით მიანდა. **გაბრიელ მილიტოს** ტრავმა ძალიან სერიოზული აღმოჩნდა. საგულდაგულო სამედიცინო შემოწმების შემდეგ, დადგინდა, რომ არგენტინელ მცველს მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა და გადაუდებელ ოპერაციის საჭიროებს. "ბარსას" ექიმების ვარაუდით, მილიტოს რეაბილიტაციას სულ მცირე ექვსი თვე დასჭირდება.

როცა მილიტოს ტრავმაზეა საუბარი, შეუძლებელია, მის და მადრიდის "რეალის" სკანდალური "განქორნინება" არ გაგვახსენდეს. გემახსოვრებათ, ესპანეთში გაბრიელი სნორედ სამეფო კლუბმა ჩაიყვანა, მაგრამ დედაქალაქური ერნანდის ექიმებმა სამხრეთამერიკელს მუხლის ქრონიკული ტრავმის დიაგნოზი დაუსვეს და, ფაქტობრივად, ხელშეწერილი კონტრაქტი სანაგვეში მოისროლეს. სასონარკვეთილ მილიტოს ისღა დარჩენოდა, "სარაგოსისთვის" შეეფარებინა თავი. სხვათა შორის, არაგონში თამაშის განმავლობაში გაბის სერიოზული ტრავმა არ მოულია. ამის შემდეგ, ყველა დარწმუნდა, რომ სამეფო კლუბის ექიმებმა მედალი დიაგნოზი დასვეს. ქრონიკულ ტრავმაზე საუბარი დიდი სისულელე ალმოჩნდა. მიუხედავად ამისა, კატალონიელები ახლა ძალიან შეშინებული და დამშეუხრებულები არიან. საქმე ის არის, რომ მილიტომ იმავე მუხლზე ანალოგიური

ტრავმა 2001 ნელსაც მიიღო. ექიმები შიშობენ, რომ ასეთი მძიმე ტრავმების შემდეგ, ჯვარედინი მყესები ფუნქციას ასი პროცენტით ვერ აღიდგენენ. ეს კი გაბის კარიერას დაღს დასვამს.

მილიტოს ტრავმამ "ბარსელონის" ხელმძღვანელობას გეგმები აურია. რამდენიმე დღის წინათ გამცნეთ, რომ ჩიკი ბეგირისტაინმა ე.წ. მავი სია შეადგინა. ამ სიაში "ბარსადან" გასაშვები ფეხბურთელების გვარები იყო ჩამოწერილი. მათ შორის, **რაფა მარკესის** გვარსაც ამოიკითხავდით. მექსიკელი მცველი დიდი პროფესიონალია, მაგრამ ხშირი ტრავმების გამო ოქვიათად ახერხებდა თამაშს. ამით მობეზრებულმა კატალონიელებმა მისი გაყიდვა გადაწყვიტეს, მაგრამ მილიტოს ტრავმის შემდეგ, რაფაელი ფასდაუდებელ ფეგურად იქცა. კატალონიური პრესის მტკიცებით, მარკესს ბეგირისტაინი პირადად შეხვდა და "ბარსელონაში" დარჩენა სთხოვა. ოკეანისგადაღმელი გენერალური დირექტორის შეთავაზებას, ალბათ, მიიღებს კიდეც. თუმცა ბრობლემა ამითაც არ გადაიჭრება. კატალონიელებს ძლიერი მცველის ყიდვა კიდევ კიდევ მოუწევთ, არადა, ამ სეზონის დასაყებამდე მილიტოს გადაბირებით მთა შეეხნი ამოისუნთქეს. ალბათ, ეგონათ, რომ დაცვაში არსებული საკადრო პრობლემა დიდი ხნით გადაჭრეს, მაგრამ არავინ იცის, ცხოვრება ვის რა სიურპრიზს უმზადებს.

ჭიერი ანრი: ვრჩები!

ბასკეთის სეზონის დასრულების შემდეგ, **ტიერი ანრი** "ბარსელონაში" დიდი ზარ-ზეიმით გადაბიბრეს. გულშემატკივრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ფრანგი ფორვარდი პირველივე წელს შთამბეჭდავად ითამაშებდა და გუნდს ტატულების მოპოვებაში დაეხმარებოდა. ოტმეიზმი არ გამართლდა. "ბარსამ" ახსოლუტურად ყველა ტატული დაკმო, ანრიმ კი სულ რალაც 8 ბურთის შეგდება მოახერხა. მათი უმრავლესობა სრულიად უმნიშვნელო შეხვედრებში იქნა გაგზანილი. ყოველივე ამის გათვალისწინებთ, გასაკვირი სულაც არ იყო, რომ ესპანური პრესა ტიერის "ბარსელონიდან" აბარგებაზე ალაპარაკდა. გასული დღეების განმავლობაში, ანრით დაინტერესებული უამრავი კლუბის სახელმა გაიფლერა.



თითქოს, ნასვლის წინაალმდეგი თავად ფეხბურთელიც არ იყო, მაგრამ გუშინ ანრიმ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე საპირისპირო რამ განაცხადა: "მეორე, დადგა დრო, როცა ყველა ქორი უნდა უარეყო. "ბარსელონიდან" წასვლას არ ვაპირებ. არ ვიცი, ჩემს ტრანსფერზე ასე გულმოდგინედ რატომ საუბრობენ. ესპანურ გაზეთებს რომ გადავლო, სულ ვიფიცავ ნასვლასა და მოსვლაზე ყორაობენ. ჩემი საქმის მესაბამე მე უკეთ ვიცი. სრული სერიოზულობით მოგახსენებთ, რომ მომავალ სეზონს "კამპ ნოუ ზე" გავატარებ. დარწმუნებული ვარ, გაისად გაცილებით უკეთ ვითამაშებ და გუნდიც ბევრ წარმატებას მიაღწევს".

ილია ნიკოლაიშვილი

ჰოლანდიის ნაკრები

ვან ბასტენის 30 კაცი

ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკო ვან ბასტენმა** ევროპის ჩემპიონატისთვის გაფაროვებული, 30 მოთამაშისგან შემდგარი შემადგენლობა დაასახელა. მწვრთნელის თქმით, 16 მაისს ამ სიას 4 ფეხბურთელი გამოაკლდება. საბოლოო, 23-კაციანი შემადგენლობა კი 28 მაისს გახდება ცნობილი. გაფაროვებული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: ედვინ ვან დერ სარი (მანჩესტერ უნაიტედი), მაარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი), ჰენკ ტიერი (ფეიენოორდი), სანდერ ბოსკერი (ტვენტე).

მცველები: ვილფრედ ბოუმა (ასტონ ვილა), ტომ დე კლერი (ფეიენოორდი), ურანი ეპანუელსონი (აიაქსი), ჯონ ჰეიტინგა (აიაქსი), კოე იალიენსი (ალკმაარი), იოონის მატიოსენი (ჰამბურგი), მარიო მეხხოიტი (ვიგანი), ანდრე ოოიერი (ბლეკბერნი).

ნახევარმცველები: იბრაჰიმ აფელაი (ენიდჰოვენი), ჯოოვანი ვან ბრონკჰორსტი (ფეიენოორდი), ოლანდო ენგელაარი (ტვენტე), ნაიჯელ დე იონგი (ჰამბურგი), დენი ლანდზაატი (ფეიენოორდი), ჰედეფეკის მაფურო (ვალენსია), ულარნეს ზეფაორი (ბლაონ), ვესლი სნეიდერი (რეალი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), დენი დე ზეეუუ (ალკმაარი).

თავდამსხმელები: რაიან ბაბელი (ლივერპული), ალაას ინ ჰუნტელაარი (აიაქსი), დანი კუეფრმანსი (ენიდჰოვენი), ფერენ კუფტი (ლივერპული), რუუდ ვან ნისტელროი (რეალი), რობინ ვან პერსი (არსენალი), არიენ რობენი (რეალი), იან ვენეგეაორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი).

ინტერვიუ ანჯელო პერუჯისთან

ბუფონს შეუძლია, ყოველდღე არც ივარჯიშოს

იტალიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ ანჯელო პერუჯიმ "კორიერე დელო სპორტთან" ინტერვიუში აუხდენელ ოცნებებზე ისაუბრა. გული სწყდება იმაზე, რომ არ მიეცა "რეალში" თამაშის შანსი, თუ რატომ არის მეკარის პროფესია ნაკლებად პოპულარული და ასე შემდეგ. მოკლედ, სანინტერესო ინტერვიუა...

რ ოგორ ხართ? სანადირიოდ ნასვლაზე ხომ არ ფიქრობთ? თქვენი მგზავრი რობერტო ბაჯო რეგულარულად ნადირობს არგენტინაში. ასე არაა?

- სხვათა შორის, გასულ წელს მეპატიჟებოდა, ერთად ვინადირთო. წელს მექნება დრო არგენტინაში გასამგზავრებლად, ალბათ, იფნისში.

- ელოდით, რომ სერია B-დან დაბრუნების შემდეგ, "იუვე" ელტაშიც ძლიერი იქნებოდა, თანაც პირველივე სეზონში?

- არ მგონია, რომ ვინმე ასეთ ნინსაღლას ელოდა... შეიძლება, თავადაც არ ელოდნენ. კლუბმა მოახერხა ადრინდელ შემადგენლობის შენარჩუნება, იმ ხანი-ექვსი ფეხბურთელის დატოვება, რომელთაც ინდივიდუალურად მუშტლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა. გარდა ამისა, მათ დაემატა ნიჭიერი ახალგაზრდობა. საინტერესო ანსამბლი გამოვიდა.

- "იუვენტუსში" ხელმძღვანელობა შეიცვალა, შედეგი კი კვლავ მაღალია. რით განსხვავდება ტურინელი კლუბი "მილანისა" და "ინტერისგან"?

- "იუვეში" 8 წელი გავატარე და იმ პერიოდში არაერთხელ გამოიცვალა ხელმძღვანელობა. თავიდან იყო მონტეფემალო, შემდეგ ბონიპერტი, რომელიც მოგვისა და ჯირაუდოს წყვილმა შეცვალა. კლუბი შექმნილია პრესტიჟზე, ტრადიციებსა და საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულებაზე. გარდა ამისა, "იუვენტუსის" ზურგსუკან ანიელების ოჯახია, რომელიც მშადაა, ურიოულეს პერიოდში დაეხმაროს კლუბს.

- თქვენ ნახეთ პროფესიული ფეხბურთში დელ პიეროს პირველი ნაბიჯები. ელოდით იმას, რომ ოტალიური ფეხბურთის ისტორიაში ის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახდებოდა?

- ვერ ვიტყვიი, რომ ველოდი, მაგრამ დელ პიეროსი ყოველთვის მჯერიდა. არ ვაქარბებ, მას უნდა ეუმადლოდე ჩემს ამჟამ ტატუს. საკმარისია, გაიხსენონთ მის მიერ საკონტინენტალთორნირო თასზე გაგანილი გამარჯვების ბოგი. ცოტა თუ შეძლებდა იმ სტატიკის გამოყენებას. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და ნახევარფინალში ჩვენი გამარჯვება განაპირობა. ის ყოველთვის ექსტრაკლასის მოთამაშე იყო. დელ პიეროს პრობლემა ისაა, რომ მისგან ზუდამ ბეგრს, რაღაც განსაკუთრებულს ითხოვენ. როგორც ყველა ვარსკვლავს, მასაც ჰქონდა აღმასვლაც და დაცემაც, მაგრამ ნახეთ, 34 წლისაა და ახლაც ამტკიცებს საკუთარ ფორნს.

- ის ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე 10 წლის წინათ იყო?

- არ ვიცი, მე ხომ მას მოედანზე ვერ ვხედავ, მხოლოდ ტელევიზორით ვდევნებთ თვალყურს. თუმცა თავის დროზე ერთად ვვარჯიშობდით. მახსოვს, როგორ გამიწნდა პატარა ბიჭუნა "იუვეში". მაშინვე ჩანდა, რომ დელ პიერო ძალზე ნიჭიერი იყო. ერთ წელიწადში ის გუნდის ლიდერი გახდა, მაგრამ შემდეგ მძიმე ტრავმა მიიღო. წელიწადნახევარი გავიდა, სანამ ამას გადაგიტანდა, თუმცა მალევე დაიბრუნა ჩვეული ფორმა. დღეს კი მის სასარგებლოდ მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა გამოცდილება და სათამაშო ალღო.

- ნაკრების მნვრთნელი რომ იყოთ, დელ პიეროს გამოიძახებდით?

- მისი ამყამინდელი კონდიციების გათვალისწინებით, უყოყმანოდ გადავდგამდი ამ ნაბიჯს.

- რას ფიქრობთ იმაზე, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ბუფონი ზურგის ტკივილით თამაშობს?

- არ ვიცი ზუსტად, რა სახის დაზიანება აქვს. რა თქმა უნდა, ზურგის ტკივილი მეკარისათვის სერიოზული პრობლემაა. ეს იგივეა, რაც ზოგბურთელისათვის ის ხელის ტკივილი, რომელითაც ზოგანი უყრიან. თუმცა ჯერჯი გამორჩეული მეკარეა და შეძლებს სირთულეების დაძლევას. ათ დღეში ერთხელაც რომ ივარჯიშოს, მაინც უდიდესი მეკარე იქნება. ბუფონს არ სჭირდება დღეში რესაათიანი ვარჯიში.

- ჯერ მალდინიმ, მერე კი ნესტამ და ტოტიმ ნაკრებში თამაშზე უარი თქვეს. რა მოხდება, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იგივე ბუფონსაც რომ გააკეთოს?

- რეფერი კითხეთა, რადგან საქმე ეხება გადაწყვეტილებას, რომელსაც ზრდასაოლი ადამიანები დამოუკიდებლად იღებენ. ამას ვერსად გავექცევიათ. როცა ზურგსუკან უამრავი მატჩი გაქვს, იწყებ ფიქრს, რომ ყოველ თამაშში მაქსიმალურად ვეღარ იბარჯები, ალბათ, სნორია ტემპის დაგდება. თუმცა არიან ისეთი თოთამაშეებიც, რომლებიც სეზონში 60 მატჩს თამაშობენ და მზად არიან, კიდევ 10 ითამაშონ. შეუძლებელია განსაზღვრა, მართალია თუ არა ფეხბურთელი, რომელმაც გადაწყვიტა, სეზონში 50 მატჩით შემოიფარგლოს. ეს ყველაფერი სუბიექტურია.

- ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი ორი მეკარე უკვე გარკვეულია: ბუფონი და ამელია. მესამე ნომრად რეკომენდაციას ვის გაუწევდით?

- არ ვიცი, რადგან იშვიათად ვუყურებ ჩემპიონატის მატჩებს. გარდა ამისა, ზოგიერთ კლუბს უცხოელი მეკარე ჰყავს. ასე რომ, არჩევანი არც ისე დიდია. რეკომენდაციას კუჩჩის გავუწევდი, მაგრამ ფაქტია, დონიმ ის "რომას" შემადგენლობიდან ამოაგდო.

- შესაძლოა, მიზეზი კარგი მეკარეების დეფიციტი იყოს?

- მიზეზი, ალბათ, თაობათა ცვლაა. ადრე ჩვენ დიდი მცველები გვყავდა და მეკარეების კარგი სკოლაც გვქონდა. ახლა კი იტალიაში მხოლოდ ფორვარდები იბადებიან. ეტყობა, ბავშვები ცენტრფორვარდების მაგალითით შთაგონებულნი იწყებენ ფეხბურთის თამაშს. არის სხვა მიზეზიც. თავდასხმაში თამაშს არ ახლავს შეედომის დიდი რისკი. საკმარისია, მეკარემ ერთხელ ნაიფორხილოს, რომ მას უკვე ნაკლებად, ან საერთოდ აღარ ენდობიან. ალბათ, ახალგაზრდობაც ამიტომ არ რისკავს.

- ...და სწორედ ამიტომ ყიდულობენ კლუბები უცხოელებს.

- კარგად მესმის "იუვენტუსის", "მილანის", "ინტერის"... მათ საიმედო მეკარეები სჭირდებათ და შეედომის დაშვების უფლება არ აქვთ. საშუალო დონის კლუბებმა კი აქცენტი ახალგაზრდა ადგილობრივ მეკარეებზე უნდა გააკეთონ. თუმცა ასე იშვიათად ხდება.

- კარისოს შუაქალი პერეცის მემკვიდრე გახდეს?

- კარისოს არ სჭირდება ჩემს მემკვიდრედ ყოფნა. უბრალოდ, მან კარგად უნდა ითამაშოს, როგორც თავისთვის, ისე კლუბისთვის. ეს არის მთავარი, ხოლო მერე ვინ ვის მემკვიდრედ ჩაგთვლის, ეს უკვე სხვების საქმეა.

- გასული წლის აპრილში "ლაციომ" ახალი მეკარის მოძებნა დაგვაგალა. ხომ ასეა?

- ბევრი ვიდეოჩანაწერი ვნახე, კარისოსაც და სხვებსაც დავაკვირდი. მაგრამ სიაში პირველ ნომრად ის იყო. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა მის მიერ პოზიციის სწორად არჩევის უნარმა. გარდა ამისა, განმაცვიფრა კარისოს სიმშვიდემ. გავშვებული გოლი მასზე ცუდად არ მოქმედებს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მეკარეს შეუძლია, თავისი სიმშვიდე მთელ გუნდს გადასდოს.

- მართალია ის, რომ კარერის დასრულებას ჯერ კიდევ 2006 წლის ზაფხულში აპირებდი, მაგრამ "რეალმა" გადაწყვეტილება შეგაცვლევინათ?

- 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთის დატოვებას ვაპირებდი. მაგრამ მეუღლემ და მოეღმა ოჯახმა კარიერის გაგრძელება დამძალეს, თუმც მტკიცედ გადაწყვიტე, რომ ის ჩემპიონატი ჩემთვის ბოლო იქნებოდა. იმ პერიოდში "რეალი" მრთლაც დაინტერესდა ჩემით. იქ მეორე მეკარე უნდა ვყოფილიყავი. ფაბიო კაპელო მეპატიჟებოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა თუ სხვა მიზეზი იყო, არ ვიცი. ისე კი, სეზონი "სანტიაგო ბერნაბეუზე", თუნდაც მეორე მეკარის რანგში, ბავშვობის ოცნების ახდენა იქნებოდა.

- რამდენადაა მოსალოდნელი ფეხბურთში თქვენი დაბრუნება?

- ჯერ არაფერი გადამწყვეტია, ენაზოთ. შესაძლებლობას გამოვიყენებ, ოღონდ, სამუშაოს არაგის ვთხოვ. ჩემს მომავალზე, ჯერჯერობით, კონკრეტულს ვერაფერს ვეტყვით.

- რას ამოირჩევდით: მთავარ მნვრთნელობას თუ მეკარეებთან მუშაობას?

- მეკარეთა მნვრთნელობა იმ საქმიანობის ბუნებრივი გაგრძელება იქნებოდა, რასაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში ვაკეთებდი. თუმცა არც სხვა სამუშაოზე ვიტყოდი უარს.

- როგორც ამბობენ, არ არის გამორიცხული, "რომას" სამნვრთნელო შტაბში ან ადმინისტრაციაში გიხილოთ...

- ბევრჯერ ვისაუბრეთ ამ თემაზე, მაგრამ კონკრეტული გადაწყვეტილებამდე ვერ მივედოთ.

- სად იმუშავებს მარჩელო ლიპი მომავალ სეზონში?

- კარგი კითხვაა. არ ვიცი. 11 აპრილს დავურეკე და 60 წლის იუბილე მიეფლიკე. დიდხანს ვისაუბრეთ, მაგრამ მისი სამუშაოს თემის არ შეეხებიავარ. საერთოდ, მგონია, რომ ჯერ თავადაც არ იცის, სად იმუშავებს.

- შეიძლება, პერუჯი ან ლიპი ერთად დაბრუნდნენ ფეხბურთში?

- ყველაფერი მოსალოდნელი. უფლის ნებას საზღვარი არ აქვს.

- რას უსურვებდით ტოტის?

- ოპერაციის შემდეგ დავურეკე. მოგეჩვენა, რომ ხასიათზე მოვიდა და ხუმრობდა კიდეც. ტოტი დაიბრუნებს ჩვეულ ფორმას, რადგან მას უკვე ამის გამოცდილება.

- "რომა" საუდეტაზე ოცნებას არ ეშვება. დარჩა კი ჩემპიონობის შანსი?

- სამნუხაროდ, "რომასთვის" საჩემპიონო რბოლა დასრულდა. "ჯალიოროსის" ჰქონდა ინტრიგის გამძაფრების შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენა.

დავით ჩუბინიძე

ლეო ბენჰაკერი

დორტმუნდი

მიზანში ბენჰაკერია

დორტმუნდის "ბორუსიას" 17 მაისამდე თომას დოლი უთავკაცებს. ეს ფაქტია. მაგრამ საკითხია, იმუშავებს თუ არა 42 წლის მნვრთნელი დორტმუნდში გაისადაგა. საქმე იქიოკენ მიდის, რომ მომავალ სეზონში ვესტფალიურ კლუბს ახალი დამრიგებელი ეყოლება. გუნინ ჰოლანდიელი პრესაში ისეთი ინფორმაცია გავრცელდა, რომ დოლისა და "ბორუსიის" თანამშრომლობა უკვე უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ჩვენი ჰოლანდიელი კოლეგების ცნობით, "ბორუსიის" ბოსებმა 65 წლის ლეო ბენჰაკერთან მოლაპარაკებები წამოწყეს. ჯოსმოპოლატი მნვრთნელი, რომელიც უკვე მუშაობდა ესპანეთში, საუდის არაბეთში, თურქეთში, მექსიკაში და ასევე ტრინიდადში, დღესდღეისთანი პოლონეთის ეროვნული ნაკრების დამრიგებელია.

"დორტმუნდის" გენერალური მენეჯერის ჰანს-იოაჰიმ ვატცკეს ოფიციალური პასუხი ასეთია: "ჩვენს გუნდში მნვრთნელის საკითხი არ განიხილება!" მაგრამ როგორც ირკვევა, ვესტფალიური კლუბის შეფეს ეს საკითხი დიდი ნინააღმდეგ და ბენჰაკერის სასარგებლოდ. დოლს კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და ხელშეკრულების ვადამდე ადრე განყვეტის შემთხვევაში, კომპენსაციის სახით 450 000 ევროს მიიღებს, რაც ნამდვილად არ არის დიდი თანხა. ვატცკეკ კი ჯოუტად ამტკიცებს, რომ ბენჰაკერთან მოლაპარაკებები არ დაუწყია.

დოლმა შარშან BVB მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან იხსნა, რის შემდეგაც, ზაფხულში რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი უყიდეს და მინიმუმ ხუთეულში მოხვედრა და უეფას თასის საგზურის მოიპოვება დაავალეს. "ბორუსიამ" მიზანს მიაღწია და გაისად უეფას თასზე ისაპარეზობს, ოღონდ ეს ბერმანის თასის ფინალში გასვლით შეძლო, ბუნდესლიგაში კი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირნმინდად შერცხვა. სწორედ ამის გამო აპირებენ "დორტმუნდის" ბოსები მის გათავისუფლებას.

გიორგი ლენცი

ბრანკო ივანკოვიჩი: საქართველო გამოწვევაა

ნაკრების პოტენციალში დარწმუნებული რომ არ ვიყო, თბილისში არც ჩამოვიდოდი

როგორც გიუწყეთ, **ბრანკო ივანკოვიჩი** თბილისში გუშინ, გამთენიისას გვენია. ხორვატი სპეციალისტი, ზაგრებიდან მოწინააღმდეგეთ, ჩვენს დედაქალაქში 03:05 საათზე ჩამოფრინდა. დაახლოებით ნახევარ საათში სტუმარი "თბილისი მერიოტში" დაანინავეს.

- აი, ესაა ის ჟურნალისტი, რომელმაც დამირეკა და მკითხა, თუ როგორ ინერებოდა ხორვატულად - "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბრანკო"! - მიმართა ივანკოვიჩს **პეტარ სეგრტმა** და თქვენს მონა-მორჩილზე მოუთითა. ბრანკომ გაიღიმა, მიმიახლოდა, ხელი ჩამომართვა და "ლეელოს" მადლობა გადუუხადა:

- მადლობას გიხდით. ხვალ ენახავ გაზეთს, მაგრამ რაც გავიგე, უკვე სასიამოვნოა, - მოკლედ მოიჭრა ბატონმა ბრანკომ და სასტუმროს რეცეფციას მიაშურა.

ვიდრე ივანკოვიჩი ამ ფორმალობებით იყო დაკავებული, სეგრტს მივმართე:

- უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ბრანკო ივანკოვიჩის ჩამოსვლით უზომოდ ბედნიერი ვარ. მისი ამჟამინდელი ვიზიტი გაცნობითი ხასიათისაა. თბილისში ის მონახულებს ეროვნულ სტადიონს, ტექნიკურ ცენტრს, მშენებარე ბაზას... იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრებს მალე ახალი და კვალიფიციური მწვრთნელი ეყოლება, - აღნიშნა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა.

ხორვატი მწვრთნელი უბრალო ნომერში დაბინავდა. მანამდე კი "ლეელოსთვის" პირველი კომუნტარიც გაეკეთა:

- ქართული მხარე ამ ოროიდე კვირის ნინაო დამიკავშირდა და მითხრა, რომ ჩემთან თანამშრომლობითაა დაინტერესებული. მოხარული ვარ, რომ თქვენს ქვეყანაში მომიწია ჩამოსვლა. თავიდანვე გეტყვით, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ გაცნობითი ხასიათის ვიზიტია. ენახავ ინფრასტრუქტურას... საუბარი შექმნება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან და გვიან ღამით შინ დავბრუნდები... სხვათა შორის, პეტარ სეგრტმა ბევრი მომიყვა საქართველოზე, ქართველებზე, აქაურ საფეხბურთო პოტენციალზე... უკვე ერწმუნდები, რომ ქართველები თბილი, კონტაქტური და გულიანი ხალხია... თბილისს კი ნამდვილი ინკლისური ამინდი დამხვდა (იცინის).

გუშინწინ, სულ ეს იყო. გუშინდელზე კი ქვემოთ.

ივანკოვიჩი: სტადიონი ჩინებულია

გუშინ, 12 საათისთვის ბრანკო ივანკოვიჩი უკვე "თბილისი. მერიოტის" ჰოლში იყო. მას იქ ფედერაციის ხელმძღვანელობა დახვდა. სტუმარ-მასპინძელმა ეროვნული სტადიონისკენ აიღო გეზი. ოციოდე წუთში კორტეჟი ბორის პაიჭაძის სახელობის არენას მიადგა, სადაც მათ სტადიონის დირექტორი **ირაკლი მეძმარიაშვილი** და ფედერაციის ვიცე პრეზიდენტები - **გოგი ქავთარაძე** და **რევაზ არველაძე** ელოდნენ. ივანკოვიჩმა ჯერ გასაღებელები მოინახულა, მერე სპორტსკონფერენციო დარბაზს ეწვია. მეძმარიაშვილმა სტუმარს რეკონსტრუქციის ამსახველი ფოტოები დაათვალიერებინა. ბრანკო სტადიონის ტევადობით დაინტერესდა, საფარანგეთთან და იტალიასთან თბილისური მატჩების ფოტოებსაც გადაავლო თვალი. მერე მოეგებზე გაგიდნენ. **ნოდარ ახალეაცმა** ნაკრების მესაძლო მწვრთნელს სტადიონის სახურავზე დამონტაჟებული სისტემაზე მიანიშნა. ეს სისტემა, თამაშის დროს, ფეხბურთელთა ნეხოსმიერ ქმედებას აფიქსირებს, რაც შემდეგ მწვრთნელს შესაფასებელი ხდება. შემდეგ, ივანკოვიჩმა სტადიონის ჰოლში ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

- როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები და რა პოტენციალს ხედავთ საქართველოში?

- უპირველეს ყოვლისა, მსურს, მადლობა გადავუხადო ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, თბილისში ჩემი მონვევისთვის. უკვე ენახე ეროვნული არენა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სტადიონი ჩინებულია. ვიცი, კარგი ფეხბურთელებიც გყავთ, ტექნიკურები არიან და კარგ კლუბებშიც თამაობენ. ისიც ვიცი, რომ საქართველოს ნაკრებმა ბოლო მატჩები არასახარბიელოდ ჩაატარა. თუმცა იმედი მაქვს, ვითარება სასიკეთოდ შეიცვლება და, თამამდად თამამამდე, საქართველოს ეროვნული გუნდი კარგ შედეგებს მოიმკის.

- გაგნობითი ხასიათის ვიზიტი კი გაქვთ, მაგრამ რამდენადაც ვიცით, მოლაპარაკებათა დასკვნითი რაუნდი სნორედ თბილისში გაიმართება...

- აქ ჩამოსვლამდე შეხვედრა მქონდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან და გარკვეულ დეტალებზე უკვე ვისაუბრეთ. თბილისში იმიტომ ჩამოფრინდი, რომ მოლაპარაკებათა მორიგ ეტაპზე გადავიდეთ, დარჩენილ დეტალებზეც ვისაუბრთ, განვიხილოთ მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობა და ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად რეალური ჩემი დასაქმება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

- რამდენად ხართ დარწმუნებული საქართველოს ნაკრების პოტენციალში? თქვენი აზრით, რისი ძალა შესწევს ამ გუნდს?

- ნაკრების პოტენციალში დარწმუნებული რომ არ ვიყო, არც ჩამოვიდოდი. თუ ყველა ფეხბურთელი საქმეს პროფესიულად მოეკიდება, პატრიოტულად, სრულად მოტივირებული იბრძოლებს და მოედანზე ბოლომდე დაიბარჯება, საქართველოს ნაკრებს შესწევს უნარი, ყველა მონინააღმდეგე დამარცხოს.

- ალბათ, თქვენთვის დამატებითი მოტივაციაა ის, რომ პეტარ სეგრტი საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცია...

- სეგრტთან ახლო ურთიერთობა მაქვს და თუ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გავხდები, პეტარის აქ ყოფნა ჩემთვის მეტად სასარგებლო იქნება. თუმცა კიდევ ვიმეორებ: ამ ვიზიტით არაფერი ნყდება, მოლაპარაკებებს გავაგრძელებთ და ყველაფერი მალე გაირკვევა.

- იქნებ, უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რა ინფორმაციას ფლობთ საქართველოს ნაკრებსა და მის ფეხბურთელებზე?

- რამდენიმე ფეხბურთელს პოტენციალს ეარგად ვიცნობ. მათი მაღალი კლასი იმედს მაძლევს, რომ ამ კონტინგენტით მართლაც შეიძლება კარგი გუნდის ჩამოყალიბება. მთავარია, ყველა ფეხბურთელმა გაითავისოს, რომ ეროვნული გუნდი ქვეყნის ღირსებაა. ნაკრებში მოასპარაკეზე თითოეული ფეხბურთელი სნორედ ამ ღირსებისთვის უნდა თამაშობდეს. თუ საქართველოს ნაკრებში დავინიშნები, პირველ რიგში, ფეხბურთელებს ამას მოვთხოვ. მეკერა, ისინიც ყველაფერს გააკეთებენ ხალხის გულის გასახარად.

- ქართულ მხარესთან კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, აქ მარტო იმუშავებთ, თუ ასისტენტებს ხორვატიდან ჩამოიყვანთ?

- ეს მოლაპარაკების ერთ-ერთი ნაწილია. ამ ეტაპზე, ეს არაა მთავარი და, ჯერჯერობით, ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

- ირანის ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ათამაშეთ. შეძლებთ, საქართველოც გაიყვანოთ დიდ საფეხბურთო ფორუმზე?

- ირანი საკვალიფიკაციო ეტაპზე აზიურ ნაკრებებთან ასპარეზობდა. მიუხედავად იმისა, რომ აზიის კონფედერაციას აფსტრალია დაემატა, რა თქმა უნდა, ევროპაში უფრო მაღალი დონეა. თუნდაც ახლადშექმნილი ჩეროგორია ავიალოთ. თუმცა ყველაფერი შესაძლებელია. ამასთან, ჩემი აზრით, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპები უფრო რთული სათამაშოა, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატი. კონტინენტის პირველობაზე მატჩებს შორის უფრო ხანმოკლე შესვენებებია. მეიძლება ითქვას, პაუზა, ფაქტობრივად, არც გაქვს და თუ მაღალი შედეგისთვის იბრძვი, ვალდებული ხარ, ყველა თამაში ერთნაირად მაღალ დონეზე ჩაატარო.

- ირანის ნაკრების მწვრთნელად მუშაობისას თეირანში ცხოვრობდით. თუ საქართველოს ნაკრების თავკაცი გახდით, იცხოვრებთ თბილისში?

- ჩემი აზრით, ეროვნული ნაკრების თავკაცი სწორედ იქ ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, რომლის ნაკრებსაც წვრთნის.

- თუ კონტრაქტი გაგაფორმეთ, როგორ დაკომპლექტებთ ნაკრებს? აქ ცენტს ლეგიონერებზე გააკეთებთ, ახალ ფეხბურთელებზე თუ მათ შერწყმას მოახდენთ?

- შეზავებული ვარიანტი ყოველთვის საუკეთესოა. ვიცი, საქართველოს ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. თუმცა ისიც გავიგე, რომ ძალიან კარგი თაობაც მოდის. ასე რომ, მათი ნაზავი საუკეთესო გამოსავალი იქნება.

- არის თუ არა საქართველოს ნაკრების თავკაცობა თქვენთვის გამწვევი?

- დიახ, სნორედ რომ ასეა. კარგად ვიცი, რომ საქართველოში ფეხბურთი მხოლოდ სპორტის ერთი ჩვეულებრივი სახეობა არ არის. ის პირველი ნომერია. უფრო მეტიც, ფეხბურთი ქართველისთვის სპორტზე მეტს ნიშნავს. რიცა ეროვნული ნაკრების თავკაცი ხარ, ბუნებრივია, ფიქრობ და მუშაობ საიმისოდ, რომ გუნდმა მაგჩიდან მატჩამდე მოუმატოს, მეს გუნდს უკეთესი შედეგები ჰქონდეს, ქვეყანამ ფეხბურთი უფრო მაღალ დონეზე ავიდეს... ამ და სხვა მოტივტების გათვალისწინებით, ჩემთვის ეს შეთავაზება, რა თქმა უნდა, გამოწვევაა.

ივანკოვიჩმა ამით დაასრულა. საინტერესოა, თუ რა სტადიონია მოლაპარაკებები ხორვატ მწვრთნელთან. ნოდარ ახალეაცს სსრონედ ამ კითხვით მიუმართავთ:

- ბრანკო ივანკოვიჩი აქაურ ჟარემოსა და საფეხბურთო ინფრასტრუქტურას თვალიერებს, ხალხს, გარემოსა და, საერთოდ, ქვეყანას ეცნობა. საღამოს მოლაპარაკებებს გავაგრძელებთ, ყველა დეტალზე ვისაუბრებთ. გამთენიისას ის სამშობლოში ბრუნდება. ხორვატიაში ჩასვლის შემდეგ ოჯახის წევრებს მოეთათბირება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

- მაინც, როდის ეყოლება ეროვნულ ნაკრებს ახალი მწვრთნელი?

- ზუსტი თარიღის დასახელება გამიჭირდება. ჩვენი ორიენტირიც ისაა, რომ ესტონეთთან და პორტუგალიასთან ამხანაგურ მატჩებში ჩვენი გუნდი სნორედ ახალმა მწვრთნელმა გაიყვანოს.

საბურაბმ და ბასა

ეროვნული სტადიონის შემდეგ, ხორვატმა სტუმარმა საგურამოს მშენებარე ბაზა მოინახულა. მას მოეგებნენ მოეწონა და ფედერაციის თავკაცებს ჰკითხა, თუ როდის დამთავრებულა სამშენებლო სამუშაოები. ბარემ მკითხველსაც ვიუწყებთ, რომ მშენებლობა დასკვნის სტადიაშია და მისი დასრულება ზაფხულში იგეგმება.

საგურამოს შემდეგ ტექნიკურ ცენტრ "ბასას" ეკურკე დადგა. ივანკოვიჩი იქაურობითაც ემაყოფილი დარჩა. ამას კი სადილი მოაყვა, რის შემდეგაც ბრანკო სასტუმროში დაბრუნდა, მცირე ხნით შეისვენა, ხოლო მერე, მოლაპარაკებათა დაკვნითი რაუნდიც დაინყო...

დავით ცაბაძე
ალექსანდრე კოტორაშვილი
ფოტოსტუდია

ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ

ᲛᲝᲠᲐᲯᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲘᲩᲘᲗᲘ ᲓᲐᲡᲪᲔᲡᲗᲐ

კᲘᲠᲐ, "ინტერმა" მილანურ დერბიში 2:1 წააგო. ამ შედეგით, "ნერაძერი" მდევარს მხლოდ 3 ქულით უსწრებს, ჩემპიონატის დასრულებამდე კი ორი ტურია დარჩენილი. "ინტერს" ერთი მოგება და ფრე სჭირდება საიმისოდ, რათა "რომას" შედეგებზე აღარ იყოს დამოკიდებული და ზედიზედ მესამე სკუდეტო მოიგოს. ერთი მეზობელი, ამოცანა მარტივია, მაგრამ მილან ასეც არაა საქმე. კვირას "ინტერი" მასპინძლობს "სიენას", რომელსაც სერია A-ში დარჩენის პრობლემა აღარ აწუხებს. შესაბამისად, შავ-ლურჯებს უმოძიებელი მეტოქესთან გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ. თუმცა ხშირად ესეც საფრთხეს წარმოადგენს, რადგან უმოტივაციო გუნდი თავისუფლად, ყოველგვარი ნნეხის გარეშე თამაშობს და "ინტერს" ამის გამოვლინებებაც მართებს.

სხვა საქმეა "პარმა", რომელსაც ლიგაში დასარჩენად ორივე მატჩის მოგება სჭირდება. ემილიელებთან "ინტერი" გასცლით მატჩს ჩააგარებს. **ექტორ კუპერის** გუნდი თავს დადებს, რათა როგორმე გადაარჩეს. როგორც იცით, კუპერი "ინტერის" ყოფილი მწვრთნელია. მას არასოდეს დაავიწყდება 2002 წლის 5 მაისი, როცა თითქმის ვანადებული სკუდეტო ბოლო ტურში გაუუმვა ხელიდან. ვინ იცის, იქნებ კუპერმა კიდევ ერთხელ "შეუშალოს" ხელი "ინტერს" ჩემპიონობის მოპოვებაში...

მანამდე კი **რობერტო მანჩინიმ** პრეზიდენტ **მასიმო მორაგისთან** უნდა გაარკვიოს ურთიერთობა. ეს ურთიერთობა მას მერე გაიცვალა, რაც მწვრთნელმა მარტში გადადგომის განცხადება გააკეთა. მაშინ, მორატიმ ჯკახე განცხადება არ დაიმტვრა და იმასაც ამბობდნენ, **ოოზუ მოურინოსთან** დაიქირაო საქმე. ამჯერად, მორატი მანჩინისეულმა ტაქტიკამ გააცოფა. მარილაც, მილანურ დერბიშიში "ინტერი" ამაზრზენი იყო. ეიდერე **ფილიპო ინზაგიმ** და **კაკამ** "როსონერი" ორი ბურთით არ დაანინაურეს (55-ე წუთისთვის), რემპინის ფეხი არ გაუნძრევია. მაჩინის ერთადერთი ამოცანა არწმუნება იყო, მაგრამ ამასაც ცოცნი უნდა. მორატი თვლის, რომ "ინტერმა" საზიზღრად თამაშობა და რომ ასეთი ტაქტიკა რემპინონიმისთვის მეჩრილდ და დიდი ამბიციების მქონე კლუბს, უბრალოდ, არ ეკადრება.

მანჩინის პასუხმა არ დააყოვნა: "*მინდა გითხრათ, რომ არც ერთ შეხვედრაში, დერბი იქნება ეს თუ სხვა, როგორთ დაპირისპირება, ფრეზე არასოდეს გვთამაშია. ჩვეულებრივი ამბავია: როცა აგებ, ყოველთვის ინდები დამნაშავის ძებნას და ვზა ბოლო მწვრთნელთან მიდის, ბუდმივად მასზე ტყდება ჯოხი. თუ მორატი ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ასე ფიქრობს, კი მაგრამ, ეს მისი საქმეა, მაგრამ მე მას არ ვეთანხმები*".

ექსპერტების დასკვნა კი ერთია: პრეზიდენტსა და მწვრთნელს შორის მორღი უთანხმოება უკვალოდ ნამდვილად აღარ ჩაიკეს და მოუხდებად იმისა, რომ მანჩინის "ინტერთან" კიდევ 3 წლით აკავშირებს კონტრაქტი, სეზონის ბოლოს მათი გზები უთუოდ გაიყრება.

გიორგი ᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მანჩინი და მორატი. აღრე ყველაფერი კარგად იყო

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲙᲐᲞᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲘᲡ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲨᲔᲘᲛᲣᲨᲐᲕᲘᲡ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ საფეხბურთო ასოციაციამ **ფაბიო კაპელო** კონკრეტული მიზანი დაუსახა: ალბილონური ნაკრები 2010 წლის მუნდიალის ან ევრო 2012-ის ნახევარფინალში უნდა გაიიდეს. ეს არის პროგრამა-მინიმუმი. ამის გარდა, თავად ასოციაცია გეგმავს, მარტინში ფეხბურთის ეროვნული ცენტრი (NFC) დააარსოს და ორ წელიწადში სრულად აამოქმედოს.

ინგლისის ნაკრები ნახევარფინალში უკანასკნელად ევრო 96-ზე, **ტერი ვენნიბლის** დროს იყო. მაშინ, ინგლისელებმა საკუთარ კედლებში ევრმანიასთან პენალტების სერიით წააგეს. კაპელოს კი ჯერჯერობით, ორი მატჩი აქვს ჩაგარებული. მან ჯერ შვეიცარიას მოუგო საკუთარ მოედანზე, მერე კი სტუმრად საფრანგეთთან დამარცხდა.

საფეხბურთო ასოციაციას სხვა პროექტებიც აქვს. ზოგადად, საუბარია ფეხბურთის მასშტაბურ განვითარებაზე, რამაც, მათი გათვლით, ინგლისის ეროვნულ ნაკრებს (მთ შორის, ქალთა გუნდსაც) ახლო პერსპექტივაში ღირებული ნარმატებები უნდა მოუტანოს.

გიორგი ᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ფაბიო კაპელო დიდ მიზნებს უნდა შეეჭიდოს

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲝ ᲓᲝᲜᲐᲓᲝᲜᲘᲡᲗᲐᲜ

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲔᲚᲝ, ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲐᲠᲗᲘᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲘ

ᲓᲝᲜᲐᲓᲝᲜᲘ ᲬᲐᲠᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ... ᲓᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲝ ᲓᲝᲜᲐᲓᲝᲜᲘᲡ ევროპის ჩემპიონატზე ურთიერთი მისია აქვს შესასრულებელი. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოგების შემდეგ, "სკუადრა აძურის" დღეკანდელ დამრიგებელს, კონტინენტის პირველობაზე ტროფეის გარდა, ნებისმიერი სხვა შედეგი, აღბათ, ნარუმტგლლობად ჩაეთვლება. პრინციპში, ამაზე დამოკიდებული მისი სანაკრებო მომავალიც. რაკი ფეხბურთის ფედერაციამ ჯერჯერობით, ახალი კონტრაქტი არ გაუფორმა, გამოდის, რომ მისგან, პირველ რიგში, შედეგებს ელიან. "კორიერე დელო სპორტთან" ინტერვიუში კი დონადონი თავის საფეხბურთო კარიერაზეც საუბრობს, იხსენებს არიგოს საკის სამწვრთნელო მეთოდებსა და არაადამიანურ დატვირთვებს, ბოლოს კი აღესანდრო დელ პიეროს საკერპოთ შანსებსაც აფასებს...

- ალბაო, არ ღირს ინტერვიუს დაწყება დელ პიეროს თემით...

- გმადლობთ, მაგრამ არ არის პრობლემა, გებულიცთ: ექვსი თვის წინათ რომ გეკითხთო, აუცილებლად ნეგატიურ პასუხს მიიღებდთ, მაგრამ დღევანდელი ვითარება აბსოლუტურად განსხვავებულია და მზად ვარ, აღელესი სიაში შევიყვანო. მე ყველაფერს ფაქტებით ვიფასებ. თუმცა, აქეე, ხაზი მინდა გაეუსვა იმასაც, რომ ნაკრების შემადგენლობაზე დაწერილებით მაშინ ვისაუბრებ, როცა ამის დრო მოვა. უცნაური სიტუაცია იქმნება. ძალიან ბევრმა ფეხბურთელმა დამაყენა რთული არჩევანის წინაშე. ერთი მხრივ, ეს პრობლემაა, მაგრამ არის მეორე მხარეც: მალალი ელასის მოთამაშეთა დეფიციტს ნამდვილად არ ვუჩივი. მხოლოდ ერთში ვარ დარწმუნებული: დელ პიეროს ან სხვა რომელიმე მოთამაშის მიწვევა ეს პირადად ჩემი გადაწყვეტილება იქნება და არა ის პოლემიკის ნაყოფი, რასაც ამ ბოლო პერიოდში ვისმენთ. მე მეგონი, (ვიცელიზებული ხალხი ვართ და უნდა გვესმოდეს, რომ ნაკრების შედგენზე პასუხისმგებლობას კისრულობს მწვრთნელი და სხვა არავინ.

- ფანები დონადონის იცნობენ, როგორც "მილანის" ყოფილ ფეხბურთელს, იმ დიდი გუნდის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას, მაგრამ ბევრმა არაფერი იცის თქვენს პირველ ნაბიჯებზე. ამბობენ, რომ სილეიი ბერლუსკონის პირველი შეხვედრა სწორედ თქვენ იყავით...

- ის თავად ამბობს ამას და არ მინდა ახლა ამაზე მსჯელობა. ზუსტად მხლოდ ის ვიცი, თუ თავად რამეული ძალისმხეცა დამჭირდა იმისთვის, რომ "მილანში" გადაესულიყავი. "აბალანტის" პრეზიდენტ ბერტოლაჩის უკვე გადაწყვეტილი ქონდა, რომ "იუვენტუსს" უნდა გაეეკეთ, მაგრამ ბავშვობიდან "მილანსტა" ვიყავი და დაკონტრეიი ვითხოვდი სწორედ "მილანში" გადასვლას. აი, ასე იყო ეს საქმე. დანარჩენს მნიშვნელობა არ აქვს.

- მოგვიყვეთო თქვენს ბავშვობაზე.

- ოჯახში მეოთხე შვილი ვიყავი... შესაძლოა, დაუეგმგიიე (იცინის)... ისე, ამას მოგვიანებით მივნედი. დავიბადე ჩიზანში ბერგამასკში, რომელიც ბერგამოდან 18 კილომეტრითაა დაშორებული. მამაჩემი პირველი იყო თერთმეტ შვილს შორის, დედა, ბერგამელი ვარ ხუთი და ჰაკაის. გავიზარდე ყურძნისა და სიმინდის მბარში, დღემდე მახსოვს ის ემოციები, რაც მოსავლის აღებას ახლდა თან... დაუვიწყარი დღეები იყო. "მილანის" ქომაგი კი ვარ ნრეკრის გამო გავხდი. 12 წლისას უკვე მეცვა ბუცები შავ-ნითელი ზოლებით, რომელსაც ენერა Adidas Rivera. რიკერამ, უბრალოდ, ვეთაყვანებოდი. ის დიდი ფეხბურთელი იყო. მაგრამ მომწონდა კრეფიეკი, ეზეკანბაუერიც... ერთი სიტყვით, ელეკანტური მოთამაშეებისკენ ვიხრებიდი, თუმცა ისიც კარგად მეცმოდა, რომ ფეხბურთის მხლოდ ამ ტიპის ხალხი არ სჭირდებოდა, შესაბამისად, იმ მოთამაშეებსაც ვცემდი პატივს, რომლებიც მოედანზე თითქოს არ იყვნენ გამოჩრეულნი, მაგრამ სინამდვილეში ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ.

- და პირველი ნაბიჯები ფეხბურთში...

- 9 წლისა "ჩიზანეზში" ვთამაშობდი. ჩემს ძმას, ჯორჯოს, სათამაშო აზროვნებითა და ტექნიკით კი ჩამოვრჩებოდი, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, ის ძნელად იჭახნდა ტრავმებს. ამიტომ, მამამ ურჩია, დაეწერებინა თავი ფეხბურთოსთვის და რამე სხვა საქმე გამოეხანა. იმდღევანდელდან, ჯორჯო ახლაც ბანკში მუშაობს. მე კი გავაგრძელე ფეხბურთოსის თამაში, გადავიტანე ყველა სირთულე... მესმოდა და ახლაც მესმის, რომ ყველა ჩემი ძალისხმევა მხოლოდ 10 პროცენტია იმისი, რაც მამაჩემმა თავისი ცხოვრებით გამოიარა. 20 წლამდე ის ფერმერი იყო, მერე ლეონოსნის ნაკეთობები გადაპერნდა... ღილის 4 საათზე ადგებდა, სახლში კი გვიან ღამით ბრუნდებოდა, მოკლედ, არანორმალური მოცულობის სამუშაოს ასრულებდა. ამიტომაცაა, რომ ჩემთვის ფეხბურთი, ძირითადად, ლამაზი სანახაობაა, მაგრამ ის ვერ ავსებს მთელ ჩემს ცხოვრებას.

- რა გაგებით?

- მაგალითად, არც მახსოვს, რამდენი საუდეტო მაქვს მოგებული, ვერც ჩემს ყველაზე ლამაზ გოლს ვიხსენებ, ვერც ყველა თანაგუნდელს ან არბიტრებს ვიხსენებ... "მილანის" ნარაბტებს დიდხანს არ ალენიშნავდი, მაშინვე მომდევნო მატჩზე ვინყებდი ზრუნვას. მაშინაც არ მომწონდა ყურადღების ცენტრში ყოფნა და ეს ახლაც მაღიზიანებს. მაგრამ კარგად მესმის, რომ პრესასთან ურთიერთობა მწვრთნელის ერთ-ერთი მოვალეობაა. ბედნიერად ამდენს ელაპარაკობ, თავი ცბედი მგონია.

- რაღაც ისეთი მაინც გიახსენეთ, რამაც უსაზღვრო სიამოვნება მოგანიჭათ.

- მახსენდება, "რეალს" 5:0 რომ მოვუგეთ. ყველაზე უსიამოვნო გრძნობა კი ბაშინ მიაყრობს, როცა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე არგენტინასთან პენალტებით ნაგები ამოტვიტიდები ხოლმე გონებაში. იტალიის მაშინდელი ნაკრები მინიმუმ ფინალში თამამს იმსახურებდა.

- რა გაგელენა იქონია თქვენზე არიგო საკისთან მუშაობამ?

- კოლოსალური. თუმცა თავიდან ნამდვილი შოკი განიცადდე. დარნმუნებეული ეიყავი, რომ იმ მწვრთნელების შემდეგ, რომლთა ხელშიც გამოვიარე, ვერაფერ და ვერაფერი გამაკვირვებდა. მაგალითად, კაზაბი გვაიძულებდა, ძალების აღსადგენად დიდი რაოდენობით მარილიანი წყალი გვესვა. სონეტისთან კი ნამდვილი კოშმარები გვქონდა. "ან ნამდვილ ფეხბურთელად გაქქეეე, ან გაიძულებ, ფეხბურთის თავი დაანბო" - ჩაიღაპარაკებდა ხოლმე. და სნორედ სონეტის მინდა გადავუხადო მადლობა, რომ ჭეშმარიტ პროფესიონალად ჩამოეყალიბდი, რომ ბავეგე, რა იყო ფეხბურთის არსი - უნდა შეგეძლოს მოთმინება და საკუთარი თავის მსხვერპლად შენირვა. მაგრამ საკიმ ყველას გადაალაჩარა. ლიდჰოლის დროს მსუბუქი ვარჯიშები გვქონდა, საკის მეთოდების სიტყვით გადმოცემა კი უბრალოდ, შეუძლებელია. თუმც ერთი რამ ფაქტია: "მილანმა" სწორედ ამის ხარჯზე მიაღწია დიდ წარმატებებს, ამაში იყო მთელი საიდუმლო. საკის "მილანი" იყო საოცარი ფიზიკური ამტანობისა და ტექნიკურობის საუკეთესო ნაზავი. ეს გახდათ მუდმივი გამოცდა, რომელშიც ჩვენ ჯერ საკუთარი თავისთვის უნდა გვეგუობა, მერე კი მეტოქისთვის. ეიცოდი, რომ თუ ეარჯიშე ბალდინის ან ბარეზის ეაჯობებდი, თამამის დროს უფრო ხისტ მცვლეებსაც იოლად გაეუმკლაკედებოდი.

- საკის გავლენაა, რომ 4-4-2 სქემაზე აღარაა ეაქეთ?

- ეს არ არის აღერაგი, ეს არის მაკრო ტაქტიკური სქემების უარყოფა. მეტი არაფერი.

- ფეხბურთის ფედერაციასთან ახალ კონტრაქტზე ვერ მოიღაპარაკეთ. ეს მუშაობაში ხომ არ შეგიშლით ხელს?

